

## მოქალაქეთა ასამბლეები მსოფლიოს გარშემო

მოქალაქეთა ასამბლეები და მსგავსი სათათბირო პროცესები, როგორცაა მოქალაქე მსაჯულები, უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე და შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სერიოზულ, ინფორმირებულ დისკუსიებში არაერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.

ამ გვერდზე გაშუქებულია წინა და მიმდინარე ასამბლეები და მათი შედეგები.

### გაერთიანებული სამეფოს კლიმატის ასამბლეა (Climate Assembly UK), 2020 წ.

კლიმატის ასამბლემ განიხილა და იმსჯელა საკითხზე, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული სათბური აირების ნულოვანი გაფრქვევა 2050 წლისთვის. ასამბლეაზე განიხილეს თუ როგორ გამოიყენება დღეს ენერჯია, მიწის რესურსები, მასალები და უარყოფითი გამონაფრქვევის ტექნოლოგია დღეს. შედეგებმა აჩვენეს, რომ:

- წევრთა 79% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ "მთავრობის მიერ ეკონომიკის აღდგენის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ნულოვანი გაფრქვევის მიღწევის ხელშეწყობისკენ უნდა იყოს მიმართული.
- წევრთა 93% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „კარანტინის შემსუბუქების შემდეგ მთავრობამ, დამსაქმებლებმა ან/და სხვა პირებმა შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა წახალისონ ცხოვრების ისეთი სტილი, რომელიც მეტად თავსებადი იქნება გაფრქვევის ნულოვანი დონის მიღწევასთან.“

### მოქალაქეთა კონვენცია კლიმატის შესახებ (Convention Citoyenne pour le Climat), საფრანგეთი, 2020 წ.

მოქალაქეთა კონვენციაში კლიმატის შესახებ განხილულია საკითხი, თუ როგორ უნდა შემცირდეს სათბური აირების გაფრქვევა საფრანგეთში სულ მცირე, 40%-ით (1990-იანი წლების დონესთან შედარებით) 2030 წლისთვის სოციალური სამართლიანობის სულისკვეთებით? “წევრები ხუთ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი, რომლებიც განიხილავდნენ საკითხებს ტრანსპორტის, სურსათის, მოხმარების, შრომის და წარმოებისა და საცხოვრებლის შესახებ. კონვენციით წამოყენებული წინადადებები პირდაპირ იქნება მიღებული, გატანილი იქნება რეფერენდუმზე ან საპარლამენტო კენჭისყრაზე.

დამატებით ინფორმაციას გაეცანით ბმულზე: [French citizens' council on the environment proposes making 'ecocide' illegal \(france24.com\)](https://www.france24.com/en/france/20201117-french-citizens-council-on-the-environment-proposes-making-ecocide-illegal) (ფრანგ მოქალაქეთა საბჭომ გარემოს დაცვის საკითხებზე წინადადება წამოაყენა „ეკოციდის“ უკანონოდ გამოცხადების შესახებ (france24.com))

### შოტლანდიის მოქალაქეთა ასამბლეა, 2019-2020 წ.

შოტლანდიის მოქალაქეთა ასამბლეა ამჟამადც მიმდინარეობს და ისახავს მიზნად სამი საკითხის გადაწყვეტას:

- როგორი ქვეყნის აშენება გვსურს?
- რომელია საუკეთესო გზა იმ გამოწვევების დასაძლევად, რომელსაც შოტლანდია და დანარჩენი სამყარო დაუპირისპირდა 21-ე საუკუნეში, მათ შორის Brexit-ის შედეგად?
- რა დამატებითი სამუშაოებია განსახორციელებელი საჭირო ინფორმაციის მისაღებად, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება ქვეყნის საკეთილდღეოდ?

### **უელსის ეროვნული ასამბლეა, 2019 წ.**

უელსის მოქალაქეები შეიკრიბნენ რათა შეექმნათ ასამბლეა და განეხილათ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეძლონ უელსელმა ხალხმა საკუთარი მომავლის ფორმირება. წევრებმა განიხილეს, თუ რომელი სფეროები მუშაობდა უელსში კარგად მათი აზრით და ასევე, ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკითხს, თუ როგორ შეიძლება საზოგადოების თანამშრომლობა ეროვნული ასამბლეის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. რაც ყველაზე საინტერესოა, მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა დაეთანხმა აზრს, რომ მოქალაქეთა ასამბლეის გამოყენება მომავალშიც უნდა მოხდეს.

### **მოქალაქეთა ასამბლეა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, ინგლისი, 2018**

მოქალაქეთა ასამბლეამ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ინგლისში სრულწლოვან პირთა სოციალური დახმარების დაფინანსება. ასამბლეამ წინ წამოწია არაერთი პრინციპი, მათ შორის, სამართლიანობისა და უნივერსალურობის პრინციპები, რომლებიც აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების მექანიზმების სამართავად. ასამბლეამ წინადადება წამოაყენა, რომ სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განხორციელებულიყო სახელმწიფოს მიერ და წარმოადგინა მთელი რიგი მექანიზმები, რომლებიც კერძო დაფინანსებას შეზღუდავდა. ასამბლეის დასკვნებმა მოგვიანებით გავლენა იქონია მთავრობის მწვანე წიგნზე მუშაობაზე.

### **მოქალაქეთა ასამბლეა Brexit-ის საკითხებზე, გაერთიანებული სამეფო, 2017 წ.**

მოქალაქეთა ასამბლეა Brexit-ის საკითხებზე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს გაერთიანებული სამეფოს ურთიერთობები ევროკავშირთან Brexit-ის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით ვაჭრობისა და მიგრაციის მიმართულებით. რაც შეეხება ვაჭრობას, წევრებმა უპირატესობა მიანიჭეს სპეციალურ სავაჭრო გარიგებას და საბაჟო კავშირს, რაც გაერთიანებულ სამეფოს საკუთარი საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას და ამასთან ერთად გაერთიანებულ სამეფოსა და ევროკავშირს შორის შეუფერხებელი საზღვრის შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემდა. ხოლო მიგრაციასთან დაკავშირებით, ასამბლეამ მხარი დაუჭირა სამუშაო ძალის

თავისუფალი გადაადგილების შენარჩუნებას, მაგრამ ამასთან ერთად, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა იყენებს კონტროლის ყველა ხელთ არსებულ საშუალებას სისტემის ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნით.

### **მოქალაქეთა ასამბლეა, ირლანდიის რესპუბლიკა, 2016-2018**

ირლანდიის მოქალაქეთა ასამბლეამ ხუთი ინდივიდუალური საკითხი განიხილა: აბორტის აკრძალვა, მოსახლეობის დაბერება, პარლამენტი ფიქსირებული ვადით, რეფერენდუმები და კლიმატის ცვლილება. ასამბლეის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხი აბორტის აკრძალვის გაუქმება იყო, რომელიც იმ დროისთვის პოლიტიკური დავის საგანს წარმოადგენდა. ასამბლეის 64%-მა მხარი დაუჭირა „შეწყვეტას შეზღუდვების გარეშე“. ეს ეროვნულ რეფერენდუმზეც აისახა, სადაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა ასევე ხმა მისცა აბორტის ლეგალიზაციას ხმების 66.4%-ით.

### **კონვენცია კონსტიტუციის შესახებ, ირლანდიის რესპუბლიკა, 2012**

კონვენციაში კონსტიტუციის შესახებ (მოქალაქეთა ასამბლეის ანალოგიურად) განხილულია ცხრა საკითხი, აქედან სამი მათგანი რეფერენდუმზე იქნა გატანილი. ორი მათგანი 2015 წელს ჩატარდა ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის და პრეზიდენტობის კანდიდატის კენჭისყრის ასაკის 35-დან 21 წლამდე შემცირების მიზნით. ქორწინების შესახებ კანონი მიღებული იქნა ხმათა 62.1%-ით.

### **სათათბირო დემოკრატია ამერიკის შეერთებულ შტატებში**

CNN-ის რეპორტაჟი. სათათბირო დემოკრატის ზოგადი წარდგენა აშშ და ევროპის სხვა ქვეყნების მაგალითებით (ინგლისურ ენაზე):

[Deliberative Polling Gives Evidence That Humans Can Learn Even When Polarization is Extreme - YouTube](#)

### **მოქალაქეთა ასამბლეა ბელგიაში**

სამიტის მიზანი დემოკრატის აღორძინება იყო ბელგიაში - ქვეყანაში, რომელიც მთავრობის გარეშე იყო 500 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. 1000 შეკრებილი მოქალაქე განიხილავდა საკითხებს, რომლებსაც ისინი ყველაზე საჭირობოვდად მიიჩნევდნენ, ეს საკითხებია: სოციალური უსაფრთხოება, იმიგრაცია და კეთილდღეობა ფინანსური კრიზისის პერიოდში(ინგლისურ ენაზე):

[Euronews - It's not the G20, it's the G1000! | Europe Weekly - YouTube](#)

### **Bürgerрат Demokratie – გერმანული გამოცდილება**

გერმანიის მოქალაქეები განიხილავენ სათათბირო დემოკრატიაში მონაწილეობის საკუთარ გამოცდილებას(გერმანულ ენაზე ინგლისური სუბტიტრებით):

[Bürgerрат Demokratie Trailer 1 \(english subtitle\) - YouTube](#)